# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 28 | კვირა 17 თებერვალი 1902 წ. | გაზეთის № 1729.



შემახა მიწის-ძვრამდე. საუკეთესო ნაწილი ქალაქისა.—ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა".

# ხევსური

### ტფილისში ყოფნის დროს 1901 წ.

(შთაბეჭდილებანი ხევსურ-წარმომადგენელისა)

(იხ. დამატების მე-27 №-რი)

თქვენ, ხომ ღნახეთ მოვემზადენით და გამოველით იარაღით შემოსილნი, ნაჩალნიკს პოლოსკა [1]) მეეყვან და ამაში ჩასხედითო გვითხრ თითონ კი ხიდზე ამავიდ სხვა პოლოსკა ჰყვანებოდა და იმაში ჩაჯდა. ჩვენ სამნი ჩავსხეით პოლოსკაში და შაუგმინეთ[2]) მეპოლოსკეეს, რო დახკა მა ცხენებსაო, მავრამ ვერ გაგვჩუჩნეს [3]) ადგილ ზეიდ. მოიდეს თუშებ და დეეშველნეს იმ ცხენებს და პოლოსკა ასწიეს და შემოგვახდინეს [4]) ხიდზე. შორს წავგსვლიყო ნაჩალნიკი და შაწუხებულიყო სად წავიდას ხევსურებიო: იმას თუ ეგონა რო უკან დაბრუნდებაო ხევსურები. მოვიდა ზედ იმ ხიდზე მოგვასწრო და გაუჯავრდ მეპოლოსკეს, რატომ არ გამაავლითა ჩქარაო. გავიწიეთ მერე და ი ტრიატრში მიგვიყვან. იმაში ერთ ჩინოვნიკ დახვდო და იმას უთხრო ეს ხევსურები მავან მავან ადგილჩი წაიყვანედითაო. წაგვიყვანეს ერთ დაკავკავებულ [5]) გზაზედ. იქ ყოფილიყვნეს სხვა და სხვა ჩვენ საქართველოს ხალხ და იკაზმებოდეს ძველებურ წესზედ. ჩვენ შაკაზმულ ვიყვენით იარაღებით. როდესაც ჩაგვიყვანნეს დაბლად და გააკეთეს ფიცრები ზედ ტილოებით იყო გადახურული, და იმ ფიცრებზე ზეით საჯენზე სიმაღლით გააკეთეს კიდევ ფიცრები და ზედ ტილოებ ლეგა ფერისათ გარდააფარნეს ისრევ. მაღლა ფიცრებზე ორ დიაც შახდა [1]) ზედ. ეს დიაცნი დადგნეს სწორედ ამ ფიცრებზედ: ცალი ხელი ხელს გააბეს, მეორე ხელი კისრებზე გადახვიეს ერთ უცს. სადაც ქალებ ეყუდნენ დაბლად მარცხნი მაე დამაყენეს; ჩემ ამხანაგებ, ქალებ მარჯვნივ გასწვრივ, კუთხეში, დააყენეს და გვითხრიდეს: მაგ დიაცთ დაუყურეთა თქვენაო, ხედნეთავო, სხვაკან ნურას გახედნებთაო და ჩვენც იმათ დაუწყით კვლევა და სანახველებიც იყვნეს: ტალავარი [2]) ისრეთ ესხა რო თვალ მარგალიტის მძივჩი ისხნეს სრუ ქიქინ გახქონდა. მაიყვანეს საც მე ვიდე ერთი კაცი მარჯვნივ შამააწვინეს ჩემ ფეხ ქვეშ; ის კაც მე მიმზერდ [3]) დიაც მაიყვანეს ერთი და მარცხნივ ის შამოწვა ჩემთ ფეხთ ქვეშ. დეეყუდნეს კაცი მარჯვენას ხელზე. და ქალი მარცხენას ხელზე და მე მიყურებდეს. ერთი სხვა კაც ქართველი თეთროსნათ მორთული თეთრი ყბებიანი [4]) მაიყვანეს და ისეც ჩემ მარცხნივ დახყუდეს, და ისეც ქალებს ხედევდ. [5]) მე გარმოვიხეთე და ის სახლი სრუ სავსე იყო ვაჟებითა და დიაცებითა სრუ ყველა კარგად სათაურებითა და ტალავარით

[1]) ფაიტონი.—[2]) შაუტიე.—[3]) ძრა ვერ გვიყვეს.—[4]) შამოგვსვეს ანუ ამოგვიყვანეს,—[5]) დახლაკნილ.

[1]) ავიდა.—[2]) ტანისამოსი.—[3]) მიყურებდა.—[4]) წვერებიანი.—[5]) უცქეროდა.



**შემახა.**—მართლ-მადიდებელთა ეკკლესია მიწის ძვრი სშემდეგ.—ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.



**შემახა.**—მართლ-მადიდებელთა ეკკლესია მიწის ძვრის შემდეგ. გამოაქვთ ეკკლესიის ავეჯი.
ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.

იყვნეს შეკაზმულნი. ცალკეს ვაჟები დადგეს და ცალკეს კიდევ დიაცნი და სულ მწკრივად სუყველა ჩვენ გვიყურებდა. შამოვიდა ერთ დიდ კაცი და გვითხრ:—„დაუყურეთ იმ დიაცთაო“, თვითონ ჩემს გვერდში დადგო და დაუწყო შაწუხებულ ძახილი რაღაცას ეძახდო და ერთბაშად მურგვალი, მთვარესავით სისვის [1]) ფერი შუქი ჩამოვარდო და განათდო სრუყველაფერი და მიბრუნდ გაჩქარებული ახლა მეორე კუთხეჩი ჭერში დაუწყო, შაწუხებულის გულზე ძახილი. იქაც სხვას კუთხეშიდ ჭერჩიდ ჩამოვარდ რაღაც იყო მუქი თეთრად იყურებოდ და გამოყოლებით ჭერზე ერთ კუთხიდ მეორემდის ჩამოვიდა ბატარ ბატარა კვერცხივით, მურგვალ იყო თეთრივ ფერის შუქ და გაანათო, როგორც მზე ისრ იყო. ჩვენ მაინც დიაცთ უმზერდით და შხ... შხ... შხ... შხ...

[1]) მწვანე.



**შემახა.**—კარვები მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დროებითსადგომად. ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა.“ ც



**შემახა.**—ქოშა-ბულლახ და კერბალაი-ალი-აბას-ყულის სახლი მიწის ძვრის შემდეგ.
ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.

სრუყველა სანთლებ შხიოდეს და ჩქამობდ [1]) ის სახლი სრულ. და ჩვენც სრუ ალმე [2]) წაველით და ისრევ ჩამაველით და როდისაცა ჩამოვე-ით დაიშალო ის საქმე. ახლა დათხოვნილები ხართო. შაგიძლიანთ წახვიდეთ თავიანთ სადგომშია და აი ჩვენაც მაველით“. ასრე გვიამბ ბათირამ.

ოთხშაბათ დილით ურადნიკ ლაჩალნიკ ?ავიდ—„შეემზადენითაო“ ჩვენ შავემზადენითა და წაგვ-ყვანეს ასტავკაჩი [3]) დაგვაყენეს ოთხ-ოთხ კაცი-ჯერ კი; მემრ რო მიველით ორ ორ კაცი: შაკაზმულნი ვიყავით ჯაჭვით იარაღით, ხმალით, თოფით. გარმოფვენის პირში რო მიველით დავინახეთ, ჯარ თეთრა ტალავარით, შტიკიანი, ბერდენკიანი. შაველითა და „დაჰხკვლიეთაო“ გვითხრეს. ჩვენ ზოგ სად გავიყარნეთ, ზოგ სად. დავკვლიეთ ღვნახეთ: მაშინა, იქსოვებოდა ქსელ, თესლეულობა, ხევსურის თესლეულობა, ამ ჩვენ ქვეყანაჩი რაც მადიოდა: შვრია, სვილი, იფქლი; იარაღ: ხმალი, ხანჯალ დართულები; ბალახებ იდგა რო ზოგ ჩვენ ვერც კი გავიგით,

[1]) ხმაურობდაა.—[2]) მაღლ.—[3]) ვიტ ვკა.



**შემახა.**—საუკეთესო ქუჩა შუაგულ ქალაქში მიწის ძვრის შემდეგ. ერმაკოვის ფოტოგრაფიიდან, ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“



შემახა.—ჯუმა-მეჩეთი და იმის უბანი მიწის ძვრის შემდეგ. ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“

გაპენტულ, რაც სახლჩი მადის; ხალიჩაი ფლასი; ზარბაზანი; ნავთის მაშინაი; კიდევ წყალ ამადიოდა ღარებიდან[1]) და ფიცარ იყო დადებულ: ზოგან ბალღ იყო გაკეთებული და იმას ასხემდი წყალ.[2]) ზოგან კლდე იყო ამაყვანილი და ზედ ჯიხვი იყვ შამხდარი ზედ; იდგ ირემის თავრიელი[3]) ცოცხალ ეგრ იყო გამოყვანილი კლდიან წყალ ჩამადიოდა მემრ იქით მთა იყო გამახატული, თოვლები იყო ისინი სრუ შიგ გამახატული. ერთგან შაგვიყვანეს ხან დაალამეს ხან გათენდო. ნავთის მაშინა უფრ გაგ[…] კვირდ; ისა რომა გადადებულ იყო ხეებ მაღლა და მემრ ღ[…]რი[1]) იყო ჩამაშვებული და ჩადიოდ კოდში[2]) და წინით მა[…]შინა ედგო და ბრუნევდ ჩალხები და ორგან ღარა ედო ღარა[…]ჩიდ მადიოდა ნავთი და ჩადიოდა ისევ ღარჩი[3]) მერე კიდევ მარცხნივ იყო მაშინა გამართული და იმაში ჩადიოდა და მე[…]რეჩი გადიოდა; იმაში იწმინდებოდა; ბოლოს, პატარა ღარები[4]) იყვ დაკეთებულ და იმაჩი გამადიოდ ხარჯი ზოგი სისკი[5]) ფ[…]

[1]) მილებიდან.—[2]) შადრევანზე ამბობს.—[3]) თავი.

[1]) ბოჩკის მსგავსი საგანი.—[2]) მილზე იძახის.—[3]) კრანები.—[4]) მწვანე.—[5]) ტრუბა.



**შემახა.**—ახმეტ-ალას აბანოები მიწის ძვრის შემდეგ, სადაც მრავალი ქალი და ყმაწვილი დაიღუპა.

რის ზოგი შავი; თუჯის ჯამები ედგ და იმაში ჩადიოდ ხარჯ. არ ვიცი წყალ იყო თუ ნავთი მართლა ჩვენ კი გვიჩვენებდეს. მაშინა კი ნავთისა იყო. კიდევ, ჩვენებურ ციხე რო ისრ იყო ერთ რამივ გაკეთებულ: მაღალ ისე აყვანილი ძირს ეს მაშინა იყ ნავთისაი; უბილეთონი არ აგვიტიეს. ამოვიტანეთ—„აი ბილეთები გვაქვსო“—ორი კაცი ავედით ზე იძროდ თქანთქარებდ და შავხეით სრუ თავს, შაშინელ კი იყ მაგრამ ჩვენ არ შავშინდით რადგანაც ქიუხებში და კლდეებში დაჩვეულნ ვიყავით. ჩამოვხენეთ[1]) ქალაქსა როგორც ხიდიდან წყალს დაუყურებს კაცი ისე ი კაი სანახველ იყო იქიდან, რო თავი ბოლო სრუ დავინახეთ ქალაქისა; გარმოუხენეთ ი თავ ზევითა ხალხს, რომელიც გარმოფენის გვერდით ბალჩი ირეოდა, როგორც ბალღები ეგრე, იმოდენა დააჩნდა; მანამდი არ მოგვეწყინ ვუყურეთ. ასავალ ისრ იყო როგორც კოდი და ხრახნილი[2]) ხქონდეს შიგით. კიდევ ძველებ ხევსურებ ღვნახეთ. მსხვილები იყვნენ: ორის კაცის სიმსხონი იყვნეს და მამეტებულ მაღალნი. გამიხარდ რო უწინდელ ჩვენ მამა-პაპანი თვალით დავინახე. დიდხანს უყურეთა.

ჩვენი ნეფე ერეკლე დავინახ როდესაც ბატარაი იყო. მემრ დიდიც მოზდილ მაშინდელ გამახატულიც იქ იყო: როს ნეფეთ ყოფილ. მამეწონ სრუ ხევსურის—სახე ჰქონიყ. გარმოფენა რო დავკვლიეთ მემრ დაგვაყენეს და გვხვატნეს და წამაველით სადილზე, იქავ ბარახოტი რო დგას, იმის ქვეით წყლის პირზე „საბურთალოი“ რაღაც ალაგობრივ იმას ეძახდეს. გამოველით სრუ ველზედ და იქ ვისაც ბილეთები გვქონდ პური გვაჭამეს: თითო თეთრი პურაი, თითო მინა[3]) წითელი ღვინო და ხარის ხორცი, ვაშლი, მსხალი და მწვანილი რაღაცა თვის ბოლოკი წითელ ფერისა. მემრ სადილის უკენ ჭიდიობა გაიმართ და იქ მაგვივიდეს ხევსურები იჭიდაეთო. ბაბოს უთხარით გამეედ იჭიდეო. ვიჭიდებო ბაბომაცა სთქო და ფალავანიც გამაიყვანეს და მკლავებიც დაიხვასტო[4]) უყურეთ და იარაღ არა ხქონდ იმას, ჩვენ ძალიან გაგვიკვირდ რით იჭიდავებსო ეგეო, იარაღი კი არა აქვისო. „რომელია ფალავანიო“ ვკითხეთ ჩვენა, „რომელს უნდა ვაჭიდოთ ჩვენი ფალავანიო?“—„ამ კაცს აჭიდეთო“—გვითხრის ერთ ქართლელზე, რომელსაც არაფერ არ ჰქო საჭიდაო იარაღი. „გამაიყვანეთ გამაიყვანეთ ვინა გყავისთ ფალავანიო“—გვითხრ

1) ჩამოვხედეთ.—2) ჩარხი.—3) ბოთლი.—4) გაიტიტვლა.

იმ ქართლელმა, ამაამღერა[1]) ხევსურ ბაბომაც ის ხმალი და გაიქცო ფალავანისკენ და გეექცო ეს ფალავანი. წინ ფალავანი და უკენ ბაბო და ველარ მოხელა[2]) ამოდენს ხალხჩი და საიდან იჭიდებოდეს. ესეთ ჭიდაობ რო გათავდ მემრ ჯანდიროვი ნაჩალნიკი იყო მწერალ ერთი ეტან თანა და დაგვირიგეს ფული რვა რვა აბაზ კიდევ, მემრ წამაველით სადგომჩი.

გათენდა ხუთშაბათ დილა და წაგვიყვანეს ტრიატში. თრიატრის კარს რო მიგვიყვანეს შაგვაქუჩეს და გვთვალეს ხო არავინ აკლავსაო იმის ფიქრი თუ იყ. ხევსურებს დაგვიძახნეს უცინ მანამდის კაც არ შაუშვეს. რომელსაც ვიცნობდითა ჩვენ ელიზბარ გუგუშვილს იმან აგვიყვან თვალჩი მაღლად და სახლჩი. შიგად წინგარდებ[3]) სრუ გამოუდიოდ მურგვალთ. თითო ტახჩაში[4]) სამ-სამი ჩიკა[5]) იდგო. ის ჩიკეებ სრუ სისვის[6]) ფერ აბრაშუნის ტოლი იყ შამოსილნი, ჩიკაიცა, და წინგარდებიც. იქიდან თავქვე უყურებდით დაბლა. საქართველო იყო შამოსული, სრუ დიდ დიდ კაცი და იმოდენს კაცს 1300 კაცს სრუ ჩიკაი ჰქონდ იმისთანა შამოსვილი საც ჩვენ ვისხენით იმის პირდაპირ იმავ სახლში გამოჩნდ ბერძნების დედუფალი და იქიდან ორ თვალ რაცლა იარაღით[7]) გვჩხრეკდ რადგანაც იარაღ გვქონდ შამარტყმულ. სხვა კაცს მთელ საქართველოს არავის ხქონდ იარაღ ჩვენს მიატს. ჩვენ ვიყვენით ჩვენს რჯულზედ შაკაზმულებ იარაღჩიად: ვისხენით შიგ, ჯაჭვის პერანგებშიად და ჩაჩქნებში და თოფებში და ხმლებში. ველიკი კნიაზ და მთელ საქართველო დაბლა იყვნენ დაჯარებულებ[8]) ჩიკეებზედ საქართველოს წინ გძლად გზა გაუდიოდ და წინგარდაც ჰქონდ და მეორეზედაცა და მესამეზედაც სამი გზა ჰქონდ და სამი წინგარდა[9]) და სუ დიდ კაცები იმ გზებზედ მიდიოდეს და მოდიოდეს. ერთი გზა საქართველოზე[10]) შუაზე გასჭრეს და გამოდიოდა ხალხი და თეთრ ტალავარიან სალდათები[11]) იმ გზებზე დადიოდეს სანამ ველიკი კნიაზ და ბერძნების დედუფალი მობრძანდებოდას ჩვენ გვიძახეს, რომა გაჩუმდითაო. წამოდგ გუბელნატორი და დაიწყო ლაპარაკი რუსულათ. ჯანდიროვ ნაჩალნიკ იყო იქა იმან გამაგვიცხადა, რომა პირველად მთავარ მართებელ მოვასო აქა ფეხზე ადეით

1) ამოიღო.—2) იპოვა.—3) ბალკონები.—4) ლოჟა.—5) სკამი.—6) მვწანე. 7) დურბინდით.—8) დამჯდრები.—9) ბალკონი.—10) ვითომ რაც პარტერში ქართველი საზოგადოება მსხდარა.—11) ალბათ სამხედრო პირნი ყოფილან.



**შემახა.**—მეჩეთი „შიხმინაჩ“ მიწის ძვრის შემდეგ.—ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.

და „ურა“ იძახეთ; მემრ ველიკი კნიაზ და ბერძნების დედუფალ მავდენ, ადევით და „ურა“ უძახეთო. გვითხრეს კიდე: „ვინაც ქრისტიან ხართ, ქუდებ მაიხადეთ, ვინც ბურუსმანი ხართ გეხურასთ ქუდიცა და ყაბალახიცა“. მავიდა მთავარ-მართებელ ავდეით და „ურა“ ვიძახნეთ; მავიდნეს მეორედ ველიკი კნიაზ და ბერძნების დედუფალი, ავდეით „ურა“ ვიძახნეთ. მერე დასხდ ხალხი და გვიბძანეს:—„აქ სამი წარმადგენა იქნებისა ლაპარაკი სიცილი არავინ დაიწყათ, გაჩუმდითა ყური დაუგდეთ არავინ აძრახდეთა“ [1]) დავსხეით ხალხი ველით რა ამბავი იქნებისაო. ველიკი კნიაზის წინგარდის [2]) წინ ალაგ იყო დაცემული დაბალი ამ ალაგზე იდგო შტოლები და თითო გუჯარი [3]) თითო შტოლზე გ დაშლილ იყო და იმ დროებაში ქვეითით ამოჩნდა ოცდა ათამდე კაც შავონა ტალავარით [4]) შამოსვილ იყვნეს და სრუ ყველას ხელჩი თავის ბუზვიკანტაებ, ჭიანურებ, ფანდურებ და სალხინოებ ეჭირათ ხელჩი და სრუყველა იმ შტოლებს დაუჯდო ჩიკეებზედ. [5]) ამოვიდო კიდევ ერთ კაცი ვინმე, დაჯდო როგორც ბალღებს მოსწავლებელ დაუჯდებ ეგრ. ხელში გალები [6]) რამ ეჭირა მოხვეწილები, [7]) მურგვლები. როცა ის იმ გალებსა აუკრევდა და ჩაუკრევდე, ისინიც სალხინოებსა დააყოლებდნენ. ერთი გულზე ისე შავლაღდი რო ვთქვი რო ზეცას წავედითო—იმისთან კა [8]) ხმათ ჰხქონდ. ამ დაცემულ ალაგ წინ ჩამაფარებულ რამ იყო და ჩვენ კედელ გვეგონი. ზედ მხრიანი [9]) რამე კაც იყო გამახატულ, ბუზვიკა რო გაახურეს ხაპან იქნეს და ის ქარტაც [10]) ჭერში ავიდო მაღლად და დავინახეთ მშვენიერ სახლი კარგად გაწმედილი, [11]) სახლჩი არავინ იბადებოდა ადამიან. ცოტა ხან რო გამოვიდ, მავიდეს დიაცნი და დადგეს იქ და ერთ მოხუც მავიდა კიდევ ყბა [12]) სრუ ვერცხლითა და ოქროთი შამოსული ხქონდა სრულ. რაც სამოსელ ჰქონდ, ისიც სრუ ცალიერ ოქრო ვერცხლი იყო. ქუდი ეხურა დიდი კოდი [13]) რომ ასა იმოტენა და ისიც სრუ ოქროს ვერცხლისა იყვ. [14]) დაჯდო ის მოხუც კაც ჩიკაზე [15]) და სამი ბალღი მავიდეს და მაიყვანეს მაცილი, [1]) ორს მკლავები შეეტაცო და ერთს თმა ეჭირო ხელზე დაკეცილი და მოხქონდ. დასვეს ერთ ადგილას ეს მაცილი პატარა რაიმ ქუნთაზე, [2]) იქი აქით ის ბალღებ დაუსხდეს. იმ მაცილს თმა სრუ ერთმანეთ ჩამოყოლილ იყა თმა და ყბა [3]) შეერთებულ იყო ამ [4]) ნიკაპზედ. ის გამოვიდოდ სიგძეს ოთხ არშინ. ფერი ყვითელ იყო, როგორც კვერცხის გულ. თვალებ ეგეთებ გქონდ, როგორც კუპრი წვრილები. ზედ ეცო პატარა ლეგა ქუქუნაგი [5]) და ფინთი ფერი ხქონდა აქ [6]) პირისახეზედაც. ისინი რო დალაგდეს, ერთ ბიჭ და ერთ დიაც ქართულად შაკაზმულები იყვნეს, გავიდეს და იშუშერეს [7]) მშვენივრად თუშურად და შუა ადგილჩი დადგნენ. ერთი რამე კაცი გამოვიდო და მხარ-სიღლივ გადაცმულ ჰქონდ დიდი ჩანთა. იმ ოქრო-ვერცხლით რო შამოსილ ყბა [8]) ჰხონდა, იმას ლაპარაკ რამე დაუწყო, უთხრო არაკები რაცაღეები ამოდგოე პებერი კაც და შაიყვირო და იმღერო ასრ „ო..... თ..... ო..... ო.. . სრუ კირკოლით [9]) დაიწყვ მღერა, შათამაშდ კიდეც და ხან ერთი ფეხი აიღო მაღლა და ხან სხვა, მაგრემ კარგად შამოსვილ იყო და სრუყველაფერ უხდებოდა და ჩამოგვეფარო ის ქარტაცა და ველარაფერიც დავინახეთრა და ის ბუზვიკებიც დააყენეს. დავისვენეთ კარგა ხანსა. აღარაფერ ამბავ არ იყო და მემრე ისრევ დაიწყებ ბუზვიკის მხიარულება და ქარტაც ისრევ ავიდა ჭერჩი. გამოჩნდო იმ ჭერშიდ დიდ მშვენიერებ ირემი და ერთი ფრინველი და სხვილი გძელი ნისკარტი ჰხქონდ—ნახევარ არშინ იქნებოდა. ერთი ვეშაპი ჩამოვიდო კიდევ და ცივ ცივ დადგო. ეხლა კაცები შამავიდნენ და ოთხითავ დადიოდნენ ფეხებითა და ხელებით, ბოლო თევზისა ჰქონდ, ფთებიცა ხქონდ თევზისა, თავრიელა [10]) კაც იყო. სამჯერ შამაიარნეს სრუ მურგვალთ და ერთ ალაგჩი დადგეს. მეორედ სხვანაირნ კაცნ შამავიდნეს: პირისახე კაცისა ჰხონდ ბოლო თევზისა ხქონდ და ხელებს იქნევდეს, ვითამ წყალჩი დადიოდეს და სცურავდეს. მივიდეს და ისინიც იმათ მარჯვედ

[1]) ხმა არ ამოიღოთ—[2]) ბალკონი.—[3]) წიგნი.—[4]) ტანისამოსით.—[5]) სკამებზე.—[6]) ჩხირები.—[7]) გათლილი.—[8]) კარგი.—[9]) ფრთებიანი.—[10]) ფარდა.—[11]) დაგვილი.—[12]) წვერი.—[13]) ბოჩკის მსგავსი ჭურჭელი ხისა. – [14]) იყო. - [15]) სკამზე.

[1]) ეშმაკიის მსგავსი საგანი.—[2]) ბალიშ.—[3]) წვერი.—[4]) მიჩვენებს. [5]) ჩოხის მსგავსი.—[6]) მაჩვენებს.—[7]) ითამაშეს.—[8]) წვერი.—[9]) კანკალით. [10] თავი.



**შემახა.**—საერთო სურათი მჭიდროდ დასახლებულ ნაწილისა მიწის ძვრის შემდეგ.
ერმაკოვის ფოტოგრ., ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“

კუთხეში, დადგეს. დიაცებ იქნებოდ იქ ათი-თორმეტ და კარგად შეკაზმულ მართულებ იყვნეს და იმ ბუზიკას და ჭიანურს, როგორც ის ბუზიკა და ჭიანურ აძრახდეს, იმღერეს იმნაირად და მწკრივს ხმაზედ იმღერეს და ჩამოვიდ კიდეც ქარტა და ველარაფერიც ვერ დავინახეთ და დააყენებ კიდეც ბუზვიკანტეებიც, სანამ ქარტა აიკრიფებოდ, სანამ ი ბუზვიკანტ-ფანდურ ჭიანურებს ხან ერთ ააწუწუნებდ და ხან სხვა. ზოგი წმიდა ხმაზედ წი.. წი... წი.. წი.. რო იქამს, ზოგი ბო.... ბო... ბო... ბო:, რო იქამს. რო... რო.. რო... რო... რო: ზოგი იძახდა და ის გუჯრები [1]) ესხო წინ და გადაშლიდეს იმ გუჯარს იმ თბებზე [2]) დაიწყობდეს იმ ბუზვიკანტებს და ფანდურებს დაიწყობდეს დასაკრავად, როგორც იმათ მეუფროსე აუკრო და ჩაუკრო მალები ისრ იმეებ ააწუწუნეს და აეიდო ქარტაც. დიდი გაწმედილი [3]) მაედანი იყო და გამოჩნდო კაცი ხელჩი ალამი [4]) ხქონდ წითელი ფერადი ცხენი და ზე წითელი სკლატი [5]) ხქონდა გადახურვილი იმ ცხენის საკაზმულობას და უკან ჯარი მოჰყვ და ხელჩი სრუყველას შუბები ეჭირა რკინისები პტყელები ძალიანო და რკინის ჩაჩქნები ეხურა რქიანები და ერთ კუთხეჩი ალაგაჩი დადგნენ. ეხლა მეორე ცხენიანი კაცი გამოჩნდო და შავი ცხენ ჰყვანდა და წითელი ტალავარი [6]) ეცვ იმ კაცს და უკენ ჯარი მოჰყო თავისი, და იმათ ეჭირო ხელჩი, როგორც ცუდი მაგისთანა მთვარის ნალევ [7]) რო არის იმნაირად ჰქონდ გაკეთებული, როგორც კახური წალდივით ხქონდა გაკეთებული. მივიდნეს ისინიც იმათ გვერდ გვერდს დადგნენ. გამოჩნდო ერთი მშვენიერი ბალღი ძალიან ლამაზი, იქნებოდა რვა წლისა ცხრისა ვარავოდობით. წითლებ წუღები ეცო. წითლებ ტალავარი ეცო სრუ, ამ სარტყელზე სრუ ვერცხლის ქუჩუჩი, [8]) როგორც ლორის ბალანი ეგრე დამდგარი იყო, და

[1]) ნოტები.—[2]) გვერდი ნოტისა.—[3]) დაგვილი.—[4]) ბაირაღი.—[5]) ტესმო.—[6]) ტანისსამოსი.—[7]) ნახევარი მთვარისა.—[8]) ხშირი ბალანის მსგავსი.

ცხრობდა [1]) და ამ [2]) მხრებზედაც, როგორც დიდი ჯამი, ესრე ოქროს ჯინჯილები ჰხქონდა და თავზედაც ქუდათ ისი ხქონდ. მოვიდო და იმ ველიკი კნიაზის წინ იშუშპრა [3]) იმისთანა მაშუშპრალი არავინ არ დამინახავ არც თუში, არც ქართველი არც იმერელი. ბოლოს რო გაუშო ის თამაშობა თავი დაუკრო ველიკი კნიაზს, თავის ალაგზე გაველო და დადგო იქით. მემრ სამი დიაცი გამოვიდო და იშუშპრეს და სამივე მხრიდი მხრივ დადგეს სამივეთავ კაბას ასწიეს და აუკრეს კაბის ბოლოები პირ ალმი და გაბრუნდო ეს სამისივ კაბა, როგორც ჯარა გაბრუნდების, ბორბალი როგორც. საწარბავი [4]) ხეს რო ხვდების ისრ კაბები ერთმანეთს შეხვდეს, შეეწყვნეს რალა. იმ დიაცნი არ ინძრეოდეს ის ბოლოებ კი ბრუნავ. მერე წაიქცნენ ის ქასდარზე [5]) და იმათ კაბებ ეგრ გაიშალა როგორც ფქვილი და სისვად [6]) იყო ის გაშლილ იმ ქასდარზე [7]) და ვთქვი რო კვლავ მამაჩვენეს, თუ რა ასა. ეხლა მაგათ ყური ვათხოვე; ერთი კაცი და ერთ დედაკაც კვლავ მოსდევდეს სწორედ იმათაზე და ის კაბას გახეპსაო [8]) გასთხრისაო და თუ ცოცხლებ არიანო ეგეებ მაშინ გავიგებ მართალსაო და მართლაც ცოცხლებ ყოფილიყვნენ და ჩამოგვეფარ ქარტაც.

თრიატრიდან გამოველით და წავეღით სადილად დაგვაყენეს ოთხ-ოთხი კაცი მხრისი მხრივ წინ დაგვიდგა მედაირაები, მიველით სადაც წინას დღეს ვიყვენით სასადილოდ. სასადილო შტოლები იყო დამართული. ისრევ ბილეთები გვეჭირნა ხელჩი, მართულნ ვიყვენით იარაღ ჯაჭვი ჩაჩქნებით. დავსხედით შტოლსთან მზას იყო თითო ბოთლა ღვინით სავსე; თეფში, ჯამი, პირის სახოცი დანა ჩანგალი ჩვენ იყო. მეორე სადილის მაშინ ღრუბერნატორიც იქ იყო, მთავარმართებელიცა, და ველიკი კნიაზიცა. გვაფარიკავნეს, გამოგვხადნეს ჩვენ და გურულები ორი მხატვარი იყო მაში. დაგვითხოვნეს მზეში გადასულიყო. წაველით სადგომისკე—ხუთშაბათი იყო გათენდა პარასკევი გვითხრეს დაისვენეთ. სხვა ხალხი დაით-

[1]) იძროდა.—[2]) მაჩვენებს.—[3]) ითამაშა.—[4]) რანდი.—[5]) იატაკზე.—[6]) მწვანეთ.—[7]) იატაკზე.—[8]) მოსდებს.

ხოვეს ჩვენ ხევსურებ არ დაგვითხონეს, აქავ უნდო დასჩათო. მოვიდა სალამო და მოგვამზადნეს იარაღით ჩაგვხსნეს ტრიიკაში, [1]) წაგვიყვანეს სადგომშით, [2]) ცოტა ალაგი შავიარეთ მავბრუნდით, ჩალმა განათებული იყო, როგორც დღე გაჩმავხეით, სასახლეში შავიდით, ხალიჩა იყო მაფენილი გაველით წინგარდაზე [3]) დაგვაყენეს. წინ ბალი იყო და შუშხუნაი ტყვრებოდა. იქ იყო შაგროვილი დიდკაცობა და ქალბატონები. ველიკი კნიაზიც იქ იყო, მთავარმართებელიც, გუბერნატორიცა. მაგვეხვივა სრუ ხალხი, შინჯეს იარაღ. ჩვენ ვიყვენით ხუთმეტი კაცი. გალიცინმა [4]) გვაჩუქა სამი თუმანი და დაგვითხოვნეს. შაბათს დილით გამავმგზავრდით შინისაკენა“—ასე დაამთავრა ხევსურმა-წარმომადგენელმა თავისი შთაბეჭდილებანი საიუბილეო დღეებზედ.

დ. ზაქლიაშვილი

[1]) ფაიტონში.—[2]) საზაფხულო სობრანიები.—[3]) ბალკონზე.—[4]) ზოგმა „ველიკი კნიაზი“ სთქვა...

# გ ა ს ა რ თ ო ბ ი

ერთი ფრანგი ჩვენებურ ჭიდაობას უყურებდა და ჭიდ ობით გატაცებულ ხალხს რომ ხედავდა, მიუბრუნდა იქვ მდგომ ქართველს და უთხრა: „ჯერ კიდევ ველური ინსტინქტები ჰქონია თქვენს ხალხსაო“. ქართველმა მაშინ პასუხი ვერ გასცა უცხოელს, ალბად, არ იცოდა, თუ განათებული ევროპა ამ მხრივ რამდენად ველურია კიდევ. მადრიდში ეხლა ხან გამოვიდა „ხარების ბრძოლის“ სტატისტიკა—1901 წლის განმავლობაში. 24 მარტიდან 4 ნოემბრამდე ისპანიაში მომხდარა 490 ბრძოლა, საფრანგეთში—20 და პორტუგალიაში—22. ბევრად უფრო ხშირად გაიმართებოდა ეს „გართობა“, რომ იგი ერთობ ძვირად არ ჯდებოდეს. პრესსის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა ბრძოლამ (პრესსა და ხარებთან ბრძოლა) 7.500 მ. შემოიტანა, მაგრამ ხარჯი 10.000 მ. იყო. სულ მოუკლავთ ამ ხნის განმავლობაში 3058 ხარი, ცხენები დალუპულა —5000. საფასური ცხენებისა და ხარების უდრის—2000,000 მ. მატადორი (ხარებთან მებრძოლი) იღებს თითო გამოსვლაზე საშუალოდ 1000 მ. ესპინიელ მატადორების ვარსკვლავი ანტონიიფიცენტესი ყოველ წლიურად იღებს—62,500 მანეთს, ე. ი ხუთჯერ მეტს, ვიდრე ესპანიის პირველი მინისტრი.



ოქროს მაძიებელ არგონავტელთა დაბრუნება გლდანის ხეობიდან

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი